

**ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის 2020 წლის 10 თვის ბიუჯეტის  
შესრულების მიმოხილვა**

**ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის 2020 წლის 10 თვის ბიუჯეტის  
შემოსულობები**


ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის 2020 წლის 10 თვის ბიუჯეტის ფაქტიურმა შემოსულობებმა შეადგინა 93 206,4 ათასი ლარი, რაც შემოსულობების 2020 წლის მთლიანი დაზუსტებული გეგმიური მაჩვენებლის 61.2%-ია. შემოსულობებიდან გადასახადების სახით მიღებულ შემოსავლებზე მოდის 46 685,0 ათასი ლარი (შემოსულობების 51.8%), გრანტებისა და ფინანსური დახმარების სახით მიღებულ შემოსავლებზე – 26 635,9 ათასი ლარი (შემოსულობების 29.5%), სხვა (არასაგადასახადო) შემოსავლებზე - 15 701,1 ათასი ლარი (შემოსულობების 17,4%), არაფინანსური აქტივების კლებაზე (ძირითადი საშუალებების გაყიდვიდან მიღებულ შემოსულობაზე) – 1 184,4 ათასი ლარი (შემოსულობების 1,3%).

**ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის 2020 წლის 10 თვის ბიუჯეტის  
ფაქტიური შემოსულობები**

#	შემოსულობის დასახელება	თანხა (ათასი ლარი)	წილი მთლიან შემოსულობებში
<b>1</b>	<b>შემოსავლები</b>	<b>89 022,0</b>	<b>98,7%</b>
1,1	გადასახადები	46 685,0	51,8%
1,2	გრანტები და ფინანსური დახმარება	26 635,9	29,5%
1,3	სხვა შემოსავლები	15 701,1	17,4%
<b>2</b>	<b>არაფინანსური აქტივების კლება</b>	<b>1 184,4</b>	<b>1,3%</b>
	<b>ჯამი</b>	<b>90 206,4</b>	<b>100%</b>


შემოსულობების ცალკეული კატეგორიების მიხედვით შესრულების მდგომარეობა შემდეგია:

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2020 წლის  
10 თვის ბიუჯეტის ფაქტიური შემოსულობები




#	შემოსულობების დასახელება	2020 წლის გეგმა	საკასო შესრულება	გადახრა	შესრულება %
1	შემოსავლები	136 447,7	89 022,0	47 425,7	65,2%
1,1	გადასახადები	65 314,0	46 685,0	18 629,0	71,5%
1,2	გრანტები და ფინანსური დახმარება	48 165,5	26 635,9	21 529,6	55,3%
1,3	სხვა შემოსავლები	22 968,2	15 701,1	7 267,1	68,4%
2	არაფინანსური აქტივების კლება	11 000,0	1 184,4	9 815,6	10,8%
<b>ჯამი</b>		<b>147 447,7</b>	<b>90 206,4</b>	<b>57 241,3</b>	<b>61,2%</b>

მიმდინარე წლის 10 თვეში მობილიზებული შემოსულობები წლიური გეგმიური მაჩვენებლის 61,2%-ია.



**ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2020 წლის 10 თვის ბიუჯეტის ფაქტიური შემოსულობები წლიურ გეგმასთან მიმართებაში**



**შემოსავლები**

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის შემოსავლების საპროგნოზო მოცულობა განისაზღვრა 138 447,7 ათასი ლარით, საანგარიშო პერიოდში მობილიზებული იქნა 89 022,1 ათასი ლარი, ანუ საპროგნოზო მაჩვენებლის 65,2%.

შემოსავლები მოიცავს გადასახადებს, გრანტებსა და ფინანსურ დახმარებას, სხვა შემოსავლებს.

## გადასახადები

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის 2020 წლის 10 თვის ბიუჯეტის შემოსულობების შესრულების შედეგების მიხედვით, საგადასახადო შემოსავლების ფაქტიურ შესრულებაზე მოდის 46 685,0 ათასი ლარი, რაც შესაბამისი გეგმიური მაჩვენებლის - 65 314,0 ათასი ლარის 71,5%-ია, კერძოდ: ქონების გადასახადი - 11 554,9 ათასი ლარი და დამატებული ღირებულების გადასახადი - 35 130,1 თავის მხრივ, მთლიან შემოსულობებში საგადასახადო შემოსავლების წილი შეადგენს 51,8%-ს.

## ფინანსური დახმარება და გრანტები

2020 წლის 10 თვის განმავლობაში ფინანსური დახმარების სახით მიღებული იქნა 26 635,9 ათასი ლარი, გეგმიური მაჩვენებელი შეადგენდა 48 165,5 ათას ლარს.

მიღებული ფინანსური დახმარებიდან სხვა სპეციალური ტრანსფერი სახელმწიფო ბიუჯეტიდან შეადგენს - 3 693,8 ათასი ლარი, ხოლო აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტიდან მიღებული ფინანსური დახმარება 22 942,2 ათას ლარს შეადგენს, მათ შორის: კაპიტალური ტრანსფერი - 14 770,5 ათას ლარს, სპეციალური ტრანსფერი - 8 000,0 ათას ლარი და რესპუბლიკური ბიუჯეტის სარეზერვო ფონდიდან (სპეციალური ტრანსფერი) – 171 722 ლარი.

ადგილობრივი ბიუჯეტის მთლიან შემოსულობებში ფინანსური დახმარების წილი 29,5%-ია.

## სხვა შემოსავლები

სხვა შემოსავლების 2020 წლის საპროგნოზო მოცულობა 22 968,2 ათასი ლარით განისაზღვრა, ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 15 701,1 ათასი ლარი, ანუ გეგმის 68,4%. სხვა შემოსავლების წილი ადგილობრივი ბიუჯეტის მთლიან შემოსულობებში 17,4%-ს შეადგენს.

საანგარიშო პერიოდში სხვა შემოსავლების მდგომარეობა ცალკეული სახეების მიხედვით შემდეგია:

**საკუთრებიდან მიღებული შემოსავლების** სახით მობილიზებულია 2 468,5 ათასი ლარი, მათ შორის:


- პროცენტებიდან მიღებულია 1 248,1 ათასი ლარი;
- დივიდენდებიდან მიღებულია 3 500,0 ათასი ლარი;
- რენტის სახით მიღებულია 538,0 ათასი ლარი.

**საქონლისა და მომსახურების რეალიზაციიდან** მობილიზებულია 5 178,0 ათასი ლარი, აქედან,

- ადმინისტრაციული მოსაკრებლებისა და გადასახდელების სახით - 5 174,2 ათასი ლარი. მათ შორის:

- მოსაკრებელი მშენებლობის ნებართვაზე (გარდა განსაკუთრებული მშენებლობის, რადიაციული ან ბირთვული ობიექტების მშენებლობისა) – 1 179,7 ათასი ლარი;
  - საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებელი - 1,2 ათასი ლარი;
  - სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრებელი - 1,0 ათასი ლარი;
  - სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი - 1 724,5 ათასი ლარი;
  - ადგილობრივი მოსაკრებელი სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემისათვის - 486,7 ათასი ლარი;
  - ადგილობრივი მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის - 1 781,2 ათასი ლარი;
  - არასაბაზრო წესით გაყიდული საქონლისა და მომსახურებიდან - 3,8 ათასი ლარი;
- სანქციების (ჯარიმები და საურავები) სახით მობილიზებულია 3 831,3 ათასი ლარი.
- შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლების სახით მობილიზებულია 1 405,8 ათასი ლარი.

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2020 წლის 10 თვის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები



არაფინანსური აქტივების კლება

2020 წლის 10 თვის განმავლობაში არაფინანსური აქტივებიდან მიღებული შემოსულობა 1 184,4 ათას ლარს შეადგენს, რაც გემის 10,8%-ია.

### ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის ასიგნებები პროგრამულ ჭრილში

• წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსებაზე 2020 წლის 10 თვის განმავლობაში გაწეულმა ხარჯმა შეადგინა 7 188,0 ათასი ლარი, მათ შორის:

- ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულო - 1 236,4 ათასი ლარი;
- ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია - 3 659,6 ათასი ლარი;
- სასესხო ვალდებულებების მომსახურება და დაფარვა - 2 286,7 ათასი ლარი;
- წვევამდელთა ტრანსპორტირება - 5,3 ათასი ლარი.

• მუნიციპალური ინფრასტრუქტურის სფერო დაფინანსდა 52 133,9 ათასი ლარით, მათ შორის:

- საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება - 19 786,9 ათასი ლარი;
- სატრანსპორტო სისტემისა და სერვისის განვითარება 6 086,1 ათასი ლარი;
- საბაზისო კომუნალური ინფრასტრუქტურის განვითარება - 21 286,3 ათასი ლარი;
- ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების მხარდაჭერა, ბინათმშენებლობა და ავარიული შენობების რეაბილიტაცია-დემონტაჟი - 2 681,3 ათასი ლარი;
- მუნიციპალური სასაფლაოების მოწყობა და მოვლა-პატრონობა - 410,4 ათასი ლარი;
- ინფრასტრუქტურული პროექტების დაგეგმვა და მართვა - 1 645,9 ათასი ლარი;
- ქალაქის კეთილმოწყობა - 237,0 ათასი ლარი.

• ქალაქის დასუფთავება, ეკოლოგიური მდგომარეობისა და სარეკრეაციო ინფრასტრუქტურის განვითარების სფერო დაფინანსდა 9 619,1 ათასი ლარით, მათ შორის:

- ქალაქის დასუფთავება და ნარჩენების გატანა - 5 908,6 ათასი ლარი;
- ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესება და სარეკრეაციო ინფრასტრუქტურის განვითარება - 3 710,5 ათასი ლარი;

- **განათლების სფერო დაფინანსდა 10 149,5 ათასი ლარით, მათ შორის:**
    - სკოლამდელი აღზრდა განათლება - 10 106,5 ათასი ლარი;
    - პროფესიული განვითარებისა და უმაღლესი განათლების ხელშეწყობა - 41,7 ათასი ლარი;
    - ზოგადი განმათლების ხელშეწყობა - 1,3 ათასი ლარი.
  
  - **კულტურა, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი დაფინანსდა 7 869,0 ათასი ლარით, მათ შორის:**
    - სპორტის განვითარების ხელშეწყობა - 3 397,1 ათასი ლარი;
    - მუნიციპალური სპორტული ინფრასტრუქტურის განვითარება და მოვლა-პატრონობა - 914,9 ათასი ლარი;
    - კულტურული ღონისძიებები და ფესტივალები - 1 188,3 ათასი ლარი;
    - კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობის ხელშეწყობა - 2 037,1 ათასი ლარი;
    - კულტურული მემკვიდრეობის დაცვა და განვითარება - 315,6 ათასი ლარი;
    - ახალგაზრდობის განვითარების ხელშეწყობა - 16,0 ათასი ლარი.
  
  - **მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა დაფინანსდა 10 556,2 ათასი ლარით, მათ შორის:**
    - ჯანმრთელობის დაცვა - 2 438,8 ათასი ლარი;
    - სოციალური უზრუნველყოფა - 7 585,7 ათასი ლარი;
    - სანიტარიული ზედამხედველობა და ეპიდსიტუაციის მართვა - 531,7 ათასი ლარი.
  
  - **ქალაქის ეკონომიკური და ურბანული განვითარება დაფინანსდა 48,7 ათასი ლარით, მათ შორის:**
    - ქალაქის ურბანული განვითარება - 6,4 ათასი ლარი;
    - ქალაქის ეკონომიკური პროფილის გაძლიერება და ბიზნესის განვითარების ხელშეწყობა - 42,2 ათასი ლარი.
  
  - **მუნიციპალური სერვისების განვითარება დაფინანსდა 4 392,5 ათასი ლარით, მათ შორის:**
    - მუნიციპალური მომსახურების მართვა და გაუმჯობესება - 4 392,5 ათასი ლარი.
- 2020 წლის გადასახდელების ნაწილში 10 თვის საკასო შესრულებამ შეადგინა 101 956,8 ათასი ლარი, რაც წლიური დაზუსტებული გეგმის - 160 595,4 ათასი ლარის 63%-ს შეადგენს.

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის 2020 წლის 10 თვის ბიუჯეტის გადასახდელებს ეკონომიკურ ჭრილში აქვს შემდეგი სახე:

**შრომის ანაზღაურებაზე** გაწეულმა ხარჯებმა შეადგინა 19 468,7 ათას ლარი, მისი ხვედრითი წილი მთლიან ასიგნებებში არის 19.1%.

**საქონელზე და მომსახურებაზე** გაწეულმა ხარჯებმა შეადგინა 24 255,2 ათასი ლარი, მისი წილი მთლიან ასიგნებებში 23.8%-ია.

**პროცენტების დაფარვის** ხარჯებმა შეადგინა 353,6 ათასი ლარი, რაც ასიგნებების მთლიანი მოცულობის 0.3%-ია.

**სუბსიდიის სახით** გაწეული ხარჯი შეადგენს 9 242,7 ათას ლარს, მისი ხვედრითი წილი მთლიან მოცულობაში არის 9.1%.

**გრანტების სახით** გაწეული ხარჯი შეადგენს 2,0 ათას ლარს.

**სოციალურ უზრუნველყოფაზე** გაწეულმა ხარჯებმა შეადგინა 5 728,2 ათასი ლარი, მთლიანი მოცულობის 5.6%.

**სხვა ხარჯებზე** გაიხარჯა 3 418,7 ათასი ლარი, რაც მთლიანი ასიგნებების 3.4%-ია.

**არაფინანსური აქტივების ზრდამ** შეადგინა 37 554,6 ათასი ლარი, რაც მთლიანი ხარჯების \_ 36.8%-ია.

**ვალდებულებების კლებაზე** მიიმართა 1 933,1 ათასი ლარი, ხვედრითი წილი \_ 1.9%-ია.